

იოსებ ბერიკაშვილი

SGH-Warsaw School of Economics - ვარშავის ეკონომიკის სკოლა, პოლონეთი

„Erasmus+ staff mobility for teaching პროგრამით ვიმყოფებოდი ვარშავის ეკონომიკის სკოლაში, რომელიც ამ მხრივ პოლონეთის საუკეთესო უნივერსიტეტია. უნივერსიტეტი იყო ძალიან სტუმართმოყვარე და ზედმიწევნით ორგანიზებული, ჩავატარე 4 სრულყოფილი ორსაათიანი ლექცია რუსეთზე ეკონომიკურ დამოკიდებულებაზე. სტუდენტებს და პროფესორებს გავუზიარე საქართველოს მნიშვნელოვანი გამოცდილება ამ კუთხით. თემატიკის გამო ლექციებმა დიდი ინტერესი გამოიწვია, ყველა კლასი იყო საერთაშორისო, იყვნენ როგორც პოლონელები, ასევე საერთაშორისო სტუდენტები ევროპის ყველა ნაწილიდან, ასევე ამერიკიდან და აღმოსავლეთ აზიიდან.

შევხვდი ერასმუსის გაცვლითი პროგრამით მყოფ ქართველ სტუდენტებს, ერთი კავკასიის უნივერსიტეტის ეკონომიკის სკოლის სტუდენტია, მეორე ჯიპას ეკონომიკის პროგრამის.

პროფესორებს და სტუდენტებს ასევე ვესაუბრე კავკასიის უნივერსიტეტისა და საქართველოს შესახებ, ბევრმა მათგანმა გამოთქვა საქართველოში ვიზიტის სურვილი.

მქონდა ერთი სრული თავისუფალი დღეს პოლონეთის დედაქალაქის დასათვალიერებლად. დიდი მადლობა ევროპის კავშირს და კავკასიის უნივერსიტეტს ამ შესაძლებლობისთვის!”